



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/33

ქ. თბილისი


30 სექტემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივნისთვის ყოველთვიური სახელფასო დანამატის სახით 2000 ლარის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) კარლო კოპალიანის 2021 წლის 27 სექტემბრის №0000987629 წერილისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მდივანს ყოველთვიურ სახელფასო დანამატად განესაზღვროს 2000 ლარი;
2. დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის პირველი ოქტომბრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი


ჯემალ გახოკიძე